

„დროები“ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რადივის სახლში.
ველის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაშვილის წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дროба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკი.

დროები

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე-გვერდზე სურათისა
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 კაპ.; პირველი 50 ტექსტის სურათისა
ბისა ითვლება მთავან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეაზოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
«Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი აზრილის პირველიდამ
წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ.; სოფლის მასწავ-
ლებელთათვის 5 მან. და 50 კ.
წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ეველა ნომრებს მიიღებენ.

კვირას მარტის 31-ს
თბილისის კლუბში „წერა-კითხვის
გამაგრებელთა საზოგადოების“ სა-
სარგებლოდ გამართული იქნება
მუსიკალური და ლიტერატურული
საღამეო
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ზარულ-
ნაიასი, ლავროვისა—ჟერგის, შაბუნია
და ბბ. მკოხინინი, რიბინინი, მხორო-
ვესკი, თ. მ. თუმანიშვილი, ზორსკი
და ს. მგალობლიშვილი.
განცხადების შემდეგ
„ტანსაცმა“
ბილეთება ისედაც შეკრდითანდა
თვით კლუბში.

გვიდა ამბავი, რომ სამტრედიაში
ოთხმოც-და-ათამდის ღუქანი გადამწვა-
რა. ზენა ქარი ხელს უწყობდა გაფ-
თრებულს ცეცხლსო.— ჩვენი ქვეყნის
სამიოდე ქალაქები ამ შემთხვევაში
იმდენად საშიშარს მდგომარეობაში არ
იმყოფებიან. მათ ჰყავთ, როგორცაა,
ცეცხლის მქრობი რაზმნი და ხანდის-
ხან ცეცხლის გაძლიერებას წინააღმდე-
გობას უწევენ. მაგრამ ჩვენი სოფლე-
ბის მდგომარეობა კი სწორედ რომ
სატირალია. სოფელი უფრო ხში-
რად გულ-ხელ დაკრეფილი შეჭურებს
ალით მოკულს შენობას თუ ტყეს
და ელოდება თითქოს, სანამ ცეცხლი
მოიღვებოდეს, დაკმაყოფილებოდეს
მსხვერპლით. — ასე არ არის სხვა კე-
თილ-განწყობილს ქვეყნებში. სოფლის
მცხოვრებთ, რომელნიც მოკლებულ-
ნი არიან ძალ-ღონეს თვისის ხარჯით
შეინახონ ცეცხლის მქრობი რაზმი,
სხვა-და-სხვა იარაღებით, თვით გა-
მოუყენებიათ საშუალება დროედ
მოუხსონ ცეცხლს გაძლიერება.
მაგ. შევიცარიანი ყოველი სოფელი
დაყოფილია უბნებად. შოველი უბ-
ანი, ვანდება თუ არა ცეცხლი, მო-
ვალეა თავ-თავის იარაღით მიეშვე-
ლოს ცეცხლის გასაქრობად. მართს

შინაური ქრონიკა
— ღლე არ გაივლის თითქმის, რომ
რომელიმე ადგილობრივს გაზეთში არ
წაერიტხონოთ— გაღიწვა ამა და ამ სო-
ფელში ამდენი მოსახლე, ცეცხლმა
იმსხვერპლა ქონება ისედაც გალატა-
ბულის სოფლებისა, უსახლ-კარო
დასტოვა რამდენიმე ათი კომლი გლე-
ხი, აზნაური და სხვ.; დღესაც მო-

დედოფალას ღამის თევა
საყმაწვილო არაბი
ლონიერი, გონიერი,
შრთებიანი მრავალ-თვალა;
ბაზაფხულზე დაიბადა
პაწაწინა დედოფალა.
მშვენიერი, მრავალ-ფერი,
მზის ნაწუჭი, მინათინა,
ცა და მიწის შემყარებამ
ამ სოფლისთვის გააჩინა;
აკენად მისცა მიწა და ცა,
შამდელ-ძიხად მთლად ბუნება,
ზღვა და ხმელი, ტყე და ველი
მას „ნანინას“ ეუბნება;
სიღამე მთვარე, მომცინარე
დახარის და დაქათათებს;
მარსკვლაეები ფერხულს აბმენ,
სწრაფი ელვა გზას უნათებს;

ნიაჲ წენარი, უჩინარი
ნელა-ნელა აკენას ურწევს;
მევე უგია ყვავილები
დედოფალა რბილად ზე წევს.
საგულისხმოს და საამოს
მუბნება სიბრძნე ზღაპარს;
მრძნობა ტყბილი, წენარი, ჩილი,
საკმელს უკვეს... უნთებს ლამპარს.
შენაური, ზეციური
ზადმოისმის ხმა ძლიერი:
„დედოფალა! ბჟონდეს ძალა,
სამკურნალო, მრავალ-ფერი.
„სხვა არ გჰგადეს, არა გყადეს
არც უფროსი, არც უმცროსი!
და დაგერქვას შენ სახელად
დიდი ნიჭი... გენიოსი!“
ტყბილად სძინავს პაწაწინას
და იმ ძილში ხედავს სიზმარს,
რომ პატარა ყმაწვილები
მხვევიან თამაშით გარს.

უბანს გამოაქვს ნაჯახები, მეორეს—
ლომები, მესამეს—გრძელ-გრძელი კა-
ვები, მეოთხეს—თოკები, მეხუთეს—
ჭურჭელი წულისთვის, მეექვსეს—კი-
ბეები და სხვ. და სხვ., ერთს კაცს
უიარალოდ ვერ ნახავთ. ამ რიგად
განწყობილი მცხოვრებნი წამხედ სო-
ბენ ცეცხლს. ჩვენი კაცი-კი, მართა-
ზე, მაგრამ რაკი ხელში არაფერი იარა-
ღი არა აქვს ხახას დააღებს, დაიჭ-
ლობს ხელებს და შეჭურებს ცეცხლს.
მურჩევთ ჩვენს სოფლებს თავიანთ
ზორის შეადგინონ ესეთი რაზმნი. ჩვე-
ნის აზრით ყოველმა სოფლის მასწავ-
ლებელმა, მღვდელმა და მამასახლის-
მა უნდა იმეცადინონ ამ კეთილი საქ-
მისთვის.
— აი გრთი სასიამოვნო ამბავი ჩვე-
ნის ლიტერატურის მოყვარეთათვის:
ჩვენს პოეტს აკაკის გაუთავებია სამ-
მოქმედებანი დრამა ლექსად „თამარ-
ციხერი“, რომლის შინაარსი ამო-
ღებულია იმერეთის ცხოვრებლად მე-17
საუკუნისა. მშირ-ქალად გამოყვანი-
ლია საოცარი მშვენიერების პატრონი
თამარ, ძმისწული საქართველოს მე-
ფის მახტანგისა. ამ ქალის თავ-გადა-
სავალი სწორედ საარაყოა. იგი ისე-
თის მომხიბლავის სილამაზით სავსე
ყოფილა, რომ ხელის ხელ საგოგმა-
ნები შექმნილა მეფის და მთავრებისა
და ბელათელისათვისაც კი გული სი-
ყვარულით აუტოკებია. სოლად ჰყო-
ლია იგი რაჟის მირსთავს, რომლისა-
გან ბელათელს წაუგვრია. ბელათე-
ლისათვის წაურთმევია ლევან ლაღიანს,

მასუკან იმერეთის მეფეს ბაგრატს,
მერე ისევ ლევანს. ბაგრატს ბიორგი
ბურიელი დახმარებია და ისევ წაურთ-
მევიათ ლევანისათვის. ბურიელს შე-
ურთავს ბაგრატისა და თამარის ასუ-
ლი, მაგრამ როცა ბაგრატ მომკვდა-
რა და სიძე სატირლად მისულა, მოსწო-
ნებია შავებში მოსილი თავისი სიდედ-
რი, ცოლი დაუთხოვნია, სიდედრი შე-
ურთავს და იმერეთიც ბურიისათვის
შეურთებია თავის მძძანებლობის
ქვეშ. ამ დროს თუმცა ორმოც წლამ-
დე მიღწეულს, მაგრამ მაინც მშვე-
ნიერს თამარ-ციხერს შეწყყარებია ნამ-
დვილის სიყვარულით უბრალო მგო-
სანი ზოჩა, რომელსაც გული ბოღმით
საესე ჰქონდა თურმე ყოველ იმ უბე-
დურებისა და სისხლის ღვრის გამო,
რაიც ამ ქალის სილამაზემ მთელს
იმერეთ-სამეგრელო-ბურიაში მოახლი-
ნა. ზოჩა ვერ მოუხიბლავს თამარის
სილამაზეს და გამწარებულს თამარს
შურისძიებით დაუბრალებია მისთვის
ძალად შეურაცხების მიყენება დედოფ-
ლისა. ამ კანდიერებისათვის სიკვდი-
ლი გადაუწყვეტიათ ზოჩასთვის, მაგ-
რამ ზოლოს დედოფალს უთქვამს სრუ-
ლი ქვეშარიტება და ზოჩა უენებელი
ღარ ჩენილა.
მართი სცენა ამ დრამილამ, სახელ-
დობრ ის, როდესაც თამარ-ციხერი
ზოჩას ესაყვარლება და ზოჩა კი გულ-
ცივად უმზერს მის მშვენიერებას,
პოეტმა გადმოგვცა და მოხარულნი
ვართ, რომ შევიძლებთ ამ ღლეტში
ჩვენი მკითხველები ამ სცენას ნაად-
რეველ გავაცნოთ.

უნდა ეველას დედოფალას
აღერსი და სიყვარული,
მაგრამ მხოლოდ ის მას ჰკოცნის,
მინც კი არის იქ ჩრჩეული:
მსე იგი: იცის რიგი,
ქარვად სწავლობს, კეთილია
და რასაც კარგს ასწავლიან,
დამჯერე და მორჩილია!
გაგე.
მოკლე განხილვა
საქართველოს მხედრობისა
1089—1224 წლებამდე*)
სანამ შევეუდგებოდეთ ჩვენ მესამე
მუხლის დღეინების განმარტებას, იმა-
ზედ რომ ზოგიერთი ომები და ბრძო-
ლანი იმ დროისანი შესანიშნავნი არიან
სამხედრო ისტორიის მხრით, დავხე-
დოთ თუ როგორნი არიან ჩვენნი

შეცდომანი ისტორიის და „მეთოდის“
წინააღმდეგ, რომელთაც აიძულეს
„აგავის“ მეფელთან ეძღვნა ჩვენ-
თვის რამდენიმე შენიშვნა. ჩვენს წე-
რილში ნათქვამია, რომ ღვეთ აღმა-
შენებელიდგან მონგოლთ შემოსე-
ვამდე საქართველოს მეფეებს საერის-
თავოებიდგან გამოსაწვეველ ჯარების
გარდა ჰყვანდათ მუღმივი „როკით“
(ჯამაგირით) სპა. მს შემოიღო ღვეთ
აღმაშენებელმა, რადგან მას არ ყოფ-
ნიდა საკუთარი ჯარი თავის სამხედრო
დანიშნულებათათვის. მან გამოიყვანა
40 ათასი ყიფჩაყნი „დედა-წულითა
მათითა“ და, აღიჩნია-რა მათ ზორის
საუკეთესონი, შეავსო ისინი თვისი
ჯარით და შექმნა ამ ნაირად მუღმი-
ვი სპა, რომელიც პირდაპირ მას ექვე-
მდებარებოდა. ამ ადგილს ჩვენი წერი-
ლისას დიდ ფიქრში ჩაუვლია კრიტიკო-
სი.— ის სწამებს თხზულების ავტორს
მატიანის ვარაუდად ხმარებას და უკვირს
ის, თუ როგორ დავერჩა უყურადღებოდ
შესანიშნავი ეპოქა ბაგრატ IV მეფობი-
სა (1027—1072) შეჭირვებული და-

*) იხილეთ „დროები“ № 64.



= შერ კიდევ დაიწყებული არ ექნებათ მკითხველებს ამბავი ურჩების დაბოცვისა მუთისისა და ხონის შორის. ურჩების მკვლელებად აღმოჩნდნენ სამი ძმა ზოგორიშვილები. შერისი მათაგანი ლეონტი ზოგორიშვილი ამ დღეებში მოუკლავთ, მეორე — მარდენისათვის მუხლები და უმტვრევიათ და მესამე უმცროსი ძმა თითონ მისცემია ხელმისაღწეობას.

= ღღეს, პარასკევს, სამეგრელოში გაემგზავრენ წერა-კითხვის საზოგადოებრივად დანიშნული პირნი მეგრელების თავადისაგან შემოწერილ ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად.

= ზორის მარის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამავე მარის თავად-აზნაურთა კრება დაუნიშნავს ზარში მომავალ აპრილის 14-ს, რათა იქონიონ სჯა ა) განკარგულებად მისში მოსახლენ საგუბერნიო თავად-აზნაურთა არჩევნების შესახებ, ბ) თავად აზნაურთა საქმიანობათა და სარგებლობაზე და ზ) უნდა წარდგენილ იქნას კანონიერი საბუთნი ხმის მისაღებად, რომ შეეძლოს იქონიონ მონაწილეობა საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრების საქმეებში და არჩევნებში (26, 98, 104 და 124 სტ. IX ტ. გამოც. 1876 წლისა)

მოვაგონებთ თავად-აზნაურთ, რომ თავად-აზნაურთა კრებაზე ხმის უფლება ეძლევა იმას, ვისაც ან აქვს ჩინი ანუ ორდენი, ვისაც შესრულებია კურსი საშუალო ან უმაღლეს სასწავლებლებში და ამასთანავე აქვს მარაში არა ნაკლებ 100 დლიურის სახნავის მიწისა ან ვის მამულზედაც ორი კომლი გლეხი მაინცა სდგას. შოველს შემთხვევაში თვითონაც 21 წლის ნაკლები არ უნდა იყოს. ქენჭი კი ეძლევა მხოლოდ იმას, ვისაც 1000 დლის სახნავი მიწა აქვს ან ვის

უცხოველი შინაგანი ომებისაგან. ჩვენი კრიტიკოსი ჩაადგო საფიქრებელში იმ გარემოებამ, რომ მან ამოიკითხა ერთ გვერდზე (321) ბაგრატ IV მეფობის აღწერაში 3000 ვარანგთა არსებობა მის ჯარში ერთი ბრძოლის დროს; აქედამ მას გამოჰყავს ის დასკვნა, რომ „ღვეით აღმაშენებელზე დადი ხნით წინედ ჰყავდათ ქართველ მეფეებს მუდმივი ლაშქარი, თუ ამ სახელს ვუწოდებთ, ავტორისა არ იყოს, დაქირავებულს, ანუ როქის სპასა. ეს შენიშნა კრიტიკოსისა სულ უსაუფლოა. აბა, რა შესადარებელია 3000 ვარანგების რაოდენობის დროს ლაშქარით მარბელიანთან, იმ მუდმივ ლაშქართან, რომელიც გაწეოა ღვეით აღმაშენებელმა. სახელწოდება მუდმივი ჯარია სრულიად არ ეუფლება მის ჯამაგირით დაქვრას. მარანგთა ბაგრატის ერთ ომში დასწრება სრულიად უარს არ ჰყოფს იმ სიტყვებს, რომელსაც მოგვითხრობს ღვეით აღმაშენებლის თანამედროვე

*) ბროსე, ნაწილი I, გვერდი 321. შენიშვნა 4.

მამულზედაც 20 კომლი გლეხი სცხობრობს. პოლკოვნიკს და დეისტეიტონი სტატსკი სოვეტნიკს საკმაო ჰქონდეთ 100 დლიური სახნავი მიწა ანუ ორი კომლი გლეხი ჰყავდეთ. მცირე მამულის პატრონებს (100 დლ. მიწა ანუ ორი კომლი გლეხი), რომელნიც ერთად სრულს ცენზს შეადგენენ, ნება აქვთ ამოიჩიონ რწმუნებულნი პირნი არჩევნებზედ მონაწილეების მისაღებად ხმის უფლებით.

ბ.ნ. წინამძღოლს თავად-აზნაურთა ბისათვის უწყებები რუსულს ენაზედ გაუგზავნა. ჩვენ გვაკვირვებს ეს ამბავი, რადგანაც თუ მომეტემულმა არა, ნახევარმა თავად-აზნაურობამ მაინც რუსული არ იცის.

= ხევიდამ გვეჩვენა, რომ იქაური მღვდელი ჯამაგირებს თავის დროზედ ვერ იღებენ. მაგ. 1884 წლის მაისის 1-ში მისაღები პირველი ოთხი თვის ჯამაგირი ნოემბრის 1-ს მიუღიათ, მეორე ოთხის თვისა — სექტემბრის 14-ს და მესამე ოთხის თვისა, რომელიც ამ წლის იანვრის 1-ს უნდა მიეღოთ ჯერაც არ მიუღიათ. მარგი იქნება ვისიც ჯერ არს უურადლება მიაქციოს ამ საქმეს.

უცხოველი ავღანის სამხენი.

ავღანის საქმეთა თაობაზედ სამღვარ გარეთის გაზეთებში მოყვანილი ცნობები რომ აფსონ-დავსწონოთ უფრო ომს უნდა მოველოდეთ, ვინემ მშვიდობიანობის ჩამოგდებას ინგლისისა და რუსეთის შორის. მართისა და მეორეს მხოლოდ ომისათვის გაცხარებული მზადებაა. ინგლისი ემზადება თვით და ამზადებს თვის ხელქვეით ინდოეთს. ინდოეთის მო-

და მის მოღვეწობის თანადასწრე მემბტიანე (თვით ბროსეს აზრით) მუდმივ ლაშქრის შემოღებაზედ და განწყობაზედ, რომელიც სრულიად სხვა საფუძველზედ დამყარდა, ვინემ როყოთ მოსული კაცების დაქირავება. მემბტიანეს სიტყვები და მათე მღვდელის ჩვენება არ შეეფერება როყოთ ანუ დროებით მოსულ დაქირავებულ მეომართ. ღვეით აღმაშენებლის ცხოვრების ამწერი მოგვითხრობს შემდეგს: რადგან მას არ ჰყოფნიდა საკუთარი ჯარები აღნიშნულ და განზრახულ სამხედრო დანიშნულებათათვის, მან შექმნა თათბირი და გადასწვიტა თავად გამოყვანა (1118 წ.) 40 ათასი ოჯახობა ყიზიყელთა; მან გამოაჩინა მათ შორის საომრად გამოსადგენი, მიუმატა მათ 5000 ქრისტიანი; დაიარაღა, დაანაწილა (დააწევა გვარად და გვარად), დაუნიშნა მათ მოთავენი — სპასალარები, გაწერენა*) და გამართა იგინი სა-

*) საეშაჰონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრობანი და გინებანი ღვეით განმარისხეული და ყოველნი უწყსოებანი მოსპობილ იქმნენ ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა

სამზღვრე გზებზე დიდი მუშაობაა. ზღვის სამინისტროს გაუცია ბრძანება შევეთდეს ყველა საომარი ხომალდები.

ჭერათიო, უთქვამს ერთს რუსის გენერალს, წააგავს სხვა საშუალო აზრის ცინე-სიმაგრებს და მისი აღება არავითარს სიძველეს არ შეადგენს, მაგრამ თუ ინგლისელებმა გაამაგრეს ეს ქალაქი იმ სახით, როგორც ეწოდებოდა ხელოვნება მოითხოვს, მაშინ მეტად გაძვირდება ამ ქალაქის დაჭრა. რუსეთს-კი ღვედმის შეეძლოს ჩაეგდოს ეს ქალაქი ხელში და დიპლომატიური მოლაპარაკებანი აეცდინათ თავიდაც. ინგლისური დიპლომატიური მანქანება არისო მიხვები, უთქვამს გენერალს, რომ მძირმა არ დაიხსომა რუსეთის პურ-მარტილო. მანდენილი მძირი პატრისციმით მიიღო რუსეთმა და რაკი ინგლისს კვლავ შეუიფდა იგი — დაივიწყა რუსეთის მასპინძლობაცო. ომი რომ ასტყდეს, რუსეთს ძლიერ გაუძნელებს საქმეს ბრძოლის ველის სიშორე. სატანტო ქალაქი ომის ვითარების ამბავს მხოლოდ ერთის თვის შემდეგ გაიგებს. — მბილისში გაგზავნილი იყო ბძანებაო, დაუმატნია გენერალს, იღუმლად და საჩქაროდ შეეგროვათ ჯარი და აქედამ ბაქოსა და შიხიდ-არვადისაკენ გაეგზავნათ. ეს ჯარი ღვესაც გზავნაო.

სტამბოლელ პოლიტიკურს წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისისა და რუსეთის შორის ომი აუცდენელიაო და ინგლისი მარტო ავღანისტანში კი არ შესევს თვის ჯარებს, არამედ შეზღუდაშიაც გაგზავნის საომარ-ჯავშნიან ხომალდებსო. ხმებიოა, რომ ინგლისმა უკვე გამართა ომსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკება, რომ მის გემებისათვის შეზღუდაში გზა გახსნილი იყოს. შასან-შემაფაში კარგა ხანია, რაც ღონდონში იმყოფება და მოლაპარაკება

მუდმივო ლაშქრად (регулярное войско). თვით განაგებდა ამ ნაირს მამაცსა და გაწერთენილს ლაშქარს, სდენიდა ლაჩრობას, რომლისთვის დედა-კაცის ტანისამოს აცმევდა მათ, სანამ იგინი არ დაიმსახურებდნენ უფრო შესაფერ ტან-საცმელს ბრძოლის ველზედ.

უნდა ვსთქვათ გამოტეხილი — მეფელეტონის შენიშვნა 3000 ვარანგზედ და ბაგრატის შესანიშნავს ებოქაზედ ვერ არის მარჯვე — რაც უნდა შესანიშნავი იყოს ბაგრატ მეფის ებოქა, ჩვენ მასში ვერ ვბრავებთ იმ ნიშნებს, ჩალისობისას (ჩვენი წერილის საგანი), რომლის გამო ყველა ჯარები მთელი საქართველოსა იჭერდნენ ბრძოლაში თავიანთ მიჩენილ ალაგს. ბაგრატ IV დროს ძანეთი მას არ ეკუთვნოდა, მართლი თითქო ხელიდგან ებარებოდა, სამცხე, რომლის ჯარი შემდეგ ყოველთვის წინა-ბრძოლი იყო, უფრო ხშირად მის წინამდებე იბრძოდა; ასე რომ მეტე შემოღებული ჩამას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის. „ქართლის ცხოვრება“. გვერდი 256. § 222.

აქვს ინგლისის მთავრობის მიერ ინგლისისა და ინგლისისა.

მოგვეყვას მოკლედ მსჯელობა ინგლისურის გაზ. „Times“-ისა ინგლისში რეზერვებისა და მილიციების შეკრების თაობაზედ. „მორალევემ გამოუტყდა პარლამენტს თვისი გადაწყვეტილება: მოწვეულ იყოს რეზერვები და მილიციები სამუდამო სამსახურისათვის მომქედს რაზმში. ამ გვარის ზომის შემოღება იმ სახით შეიძლება კაცმა განმარტოს, როგორადაც ღლორდ ბიკონსფილდის ბრძანება 1878 წ., როდესაც რუსეთის ჯარები ღვე-ღვეზედ იმარჯვებდნენ და ერთს ღვეს სტამბოლსაც მიადგენენ. ბიკონსფილდის მართებლობამ გადასწვიტა რუსეთს წინამდებეობა გაუწიოს. ამ გადაწყვეტილებამ მაშინ გამოიწვია დახელოვნებულის და ყველასაგან ცნობილის პოლიტიკოსის ღლორდ ღვერბის გამოსვლა კაბინეთიდაც. იმ დროს ღლორდ ღვერბი ვერ მოუწიდა ინგლისის მართებლობის იმ გვარს გადაწყვეტილებას, მაგრამ ღვეს აუცილებელ საქმიანობად ხდის ინგლისისაგან ენერგიულს მოქმედებას. ამ სახით რეზერვების მოწვევას ამ ენად უბრალო მნიშვნელობა არა აქვს; ამით ინგლისსა ჰსურს დაანახოს რუსეთს, რომ იგი მხადაა ომისათვის, მხადაა დიდი ხარჯი გასწიოს ხანგრძლივის ლაშქრობისათვის და არასოდეს არ მოითმენს, რომ რუსეთი შეეხოს მის მოკავშირეთ, ემუქრებოდეს მადოეთს. თუ ეხლანდელი კაბინეთი კვლავ განაგრძობს დათმობას — ეს ჩვენ დიდს ზიანს მოგვეცემს, მაგრამ თუ ენერგიული მოქმედება არ დაესტოვეთ, რუსეთმა ან ომი უნდა გადასწყვიტოს და აუწერელი ეკონომიური ზარალი ნახოს და ან წამსვე დასტოვოს უკანონოდ დაჭერილი ადგილები. მაგრამ ასე თუ ისე — ომის აცდენა თავი-

ლისობა მის დროს სრულიადაც არ არსებობდა. შესანიშნავი ებოქა ბაგრატისა ჩვენი თხზულების საგანს არაფრად დახმარებოდა და თუმცა კი შესაძლო იყო მისი მაინც-და-მაინც ჩახილება წერილში, მაგრამ ძლიერ ეჭვობთ, რომ მას დემტიციებინა ემეთოდისა და ისტორიულ გამოკვლევის ხასიათის ვარგისობა!.. აგრეთვე უმნიშვნელოა დასახელება კრიტიკოსისაგან მათე მღვდელისა, ზოტიევი, აბულ-ჭარადის და სხვებისა და ბროსეს შენიშვნებიდან მათის სახელებით წერილის გაჭრელება მარტო მისთვის, რომ გაიკვირვოს: ვითომ რატომ ახლანდელი სამხედრო რუსული ენით არ გაუჩივიათ ღვეით აღმაშენებელის ომი ხელჯუტებთანო.

რომ დავანახოთ, თუ როგორ უსაფუძვლოდ სჯის კრიტიკოსი, ავიღოთ ერთი მაგალითი: იქ სადაც კრიტიკოსი გამოიწერს მათე მღვდელის ჩვენებას ღვეით აღმაშენებელის ლაშქრის შედგენილობაზედ (40 ათასი მამაცი და ომებში გამოცდილი ჯარი, 15 ათ. ყიფჩაენი, 500 ალანი და 100 ვარანგი) ის წამოიძახებს



დამ საბოლოოდ ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან. სულ დიდი — ერთი წელი გაგრძელდეს დღეიდან მშვიდობიანობა და ეს ხომ რუსეთს სარგებლობას მისცემს და ჩვენ კი ზარალს. ამ ხანში რუსეთს შეუძლიან კარგად შეემზადოს, შეიძლება მხრივ გადობიროს, რომელიც ცხლა ჩვენ გემოყვრობს და ინდოეთზედაც გავლენა იქონიოს. მაშასადამე ლოდინი უაღარაა. ასევე ღრობა ჩვენ არ დაეთარეთ ჩვენი ხმელეთის და ზღვის ძალების ნაკლებობა, იქნება სისუსტეც, მაგრამ დარწმუნებული ვართ, თუ რუსეთს ეს გარემოება აიძულებს, სწორედ ესაა, რომ განკითხვის დღეს მოუვლენს თავზე რუსეთის სახელმწიფო კაცების თავმოყვარეობით განზრახვითა.

ბერლინში მყოფობის დროს, უელსის პრინცი მტკნობა რუსეთისა და ინგლისის შორის ამტყდარს დავას ავლანისტანის სამსჯერობის შესახებ. ინგლისის ტახტის მემკვიდრე დიდს ყურადღებას აქცევს ამ ორ სახემწიფოთა შორის აღძრულ საქმეს და მათს შორის შეტაკება მოსალოდნელი ჰგონია. მისის აზრით, ინგლისის საქმეთა არა სანუგეშო მდგომარეობა მკვებებში და სამინისტროს სისუსტემ წააქეზა რუსები მესლომოდენ ავრესიულ პოლიტიკას. ამის თაბახე ბერლ. ვაჰ. „Post“ ამბობს, რომ ინგლისის მდგომარეობა ამ შემთხვევაში თუმცა ვერ არის სახარბიელო, ინგლისში ბევრსა მსურს ავლანის საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ინგლისის დედოფლის მოწერილობაშია ცხადად გამოხატულია ის სურვილი, რომ ყოველი ღონის ძიება იქმნეს მიღებული საომარად მომზადებისათვის. რასაკვირველია, ინგლისს ფიქრადაც არ მოსდის, მომზადებით, თვისის შეიარაღებით რუსეთი დაეთან-

ხმოს უჩუბრად ადგილების დათმობაზე; ინგლისი დარწმუნებულია, რომ შეუტაკებლად არ გადაწყდება ავლანის საქმენი. ამასთანავე, გაზ. დასძენს, ხმებიან ვითომც ინგლისის იმედი ჰქონდეს ბერლინის დახმარებისაო.

მარტის 25-ს ლონდონში მომხდარა მინისტრთა სხდომა, რომელზედაც განუჩივრებიათ ინსტრუქცია ლორდის ლეფერინისადმი და ის საგანიც თუ რა გვარი საშუალებანი იხმარონ, რომ პარლამენტთან მეგობრული კავშირი იქონიონ. — მს აზრი გამოიწვია მმართველობისაგან გავრნილმა ხმებმა, რომ რუსის სტამბოლელი ელჩი ბ. ნელიდოვი მეცადინეობს რუს-ოსმალოს შუა კავშირის ჩამოგდებასაო. ამ ნაირს პოლიტიკას კარგა ხანია, რაც მისდევს ხსენებული ელჩიო და მიზნად ისა აქვს, რომ რუსეთისა და ოსმალეთს შორის მოხდეს საიდუმლო შეერთება ინგლისის საწინააღმდეგოდ. რადგანაც ელჩის ნელიდოვის რჩევას სულთანნი დიდს ყურადღებას აქცევს, ინგლისის მხრით განა სასარგებლო არ იქნებოდა მეგობრულს კავშირზე მოლაპარაკება გამართოს სულთანთანაო? მა წინადადება მიღებული იქმნა და ლორდს შრანვილს მიანდევს წარუდგინოს სულთანს ოსმალეთისათვის რამოდენიმე სასარგებლო პირობანი, მაგ. იმედი მისცეს, რომ ოსმალეთს უმეტესი ხმის უფლება მიეცემა მკვებების საქმეში და მის ჯარებს ნება ექმნებათ მიიღონ მონაწილეობა აღმოსავლეთ-სულანის ომებში და აგრეთვე შესაძლებელია ამ მხარეში ოსმალეთის უფლება სრულადაც აღსდგეს. მარტის 25 მთელი დღე მუსურუს-ფაშასა და ჰასან-შემი-ფაშას განუწყვეტელი მოლაპარაკება ჰქონდათ ამ საქმის შესახებ სენტ-ჯემის კაბინეტთან.

ვლან არ არის გასაკვირველი, არც ფრანგებისა, რადგან ეს ის დრო იყო, როცა მოხდა პირველი ჯვაროსანთომი, როცა დაეხეტებოდნენ უგზო-უყვლოდ ჯგუფ-ჯგუფად ჯვაროსანნი მტრე პანაში, ხან-და-ხან განზრახ წმინდა ადგილებისაკენ მიმართულ გზას გადაცილებულნი *). მე არა მქონდა არა ვითარი საფუძველი დამეგრებინა ბროსესათვის მხოლოდ იმისთვის, რომ მან ფრანგებში გვიბძანა ფრანგების ნაცვლად ფრანგების წაკითხვა.

მაშასადამე, ჩვენ ვტყობულობთ, რომ ქართველ ლაშქარში იყო წესიერად განწყობილი სისტემა მაშეკლი ჯარებისა. ში, ამითი ხანის სამხედრო ისტორიის გამოხლეული ქართველების გამარჯვებას იმ ბრწყინვალე დროს ღვეით აღმაშენებლის და ომარ მეფისას... ამბობს კრიტიკოსი.

საკვირველი ის არის, რომ ჩვენს წერილში ერთი სიტყვიც არ მოგვიხსენებია მაშეკლი ჯარების სისტემა.

*) მიმო I ნაწ. «ისტორ. ჯვაროსანთომებისა».

ანბარიში

მ. ბორში მარტის 10 „წერა-პითხვის შამერ. საზ.“ სასარგებლოდ გამართულის ლიტერატურულის საღამოს შემოსავალ-გასავლისა. სულ გაიყიდა ბილეთები. . . 195 მან.

ხარჯი:

აფიშის და ბილეთების დაბეჭედა	6 მ.
გზის ხარჯი ოთხს მონაწილეობის მიმღებს წასვლა-მოსვლა.	17 მ.
სამი დღის მათზედ ხარჯი.	17 მ. 70 კ.
მებელის მიზიდვა.	5 მ. 70 კ.
ღურგლებს სცენის გასამართავი	6 მ. — „
საზანდარს	8 მ. — „
მეზურნეებს	7 მ. — „
ზალის გაწმენდა და მოსამსახურეთა	4 მ. — „
სანთელი, ლურსმები, რეკვიზიტო, ტანისამოსის ქირაობა	4 მ. — „

სულ შესდგება 75 მ. 70 კ.

წმინდა შემოსავალი დაჩა 119 მ. 30 კ., რომელიც გადაეცა ბორის მაზრის უფროს თავ. ამირინდო ამილახვარს გასაგზავნად ობილისში საზოგადოების გამგეობისათვის.

ბატონო რედაქტორო!

ჩემს მოვალეობადა გრაცხ, „წერა-პითხვის შამერკლეველი საზოგადოების“ მონაწილეობით როგორც ჩემს მაგიერ, აგრეთვე ხსენებულის საზოგადოების მაგიერაც მადლობა გამოვუცხადო უსასყიდლოდ მონაწილეობის მიმღებთ, სცენის მოყვარეთ: ქალ. კორვეცისას, ქ. მარ. რამანოვისას, თავ. მ. ოუმანიშვილს, ბ. სოკრომ მკალობლიშვილს და ქართველის დასის მსახიობთ ქალ. შაბუნია შავარლისას, ბატ. აწყურელს,

(система резервовъ) ესე იგი მაშეკლი ჯარების ნაწილები, რომელთაგანაც შესდგება ხოლმე მომქმედი ლაშქარი და არც მიგვიწერია იმათთვის უმთავრესად ქართველების გამარჯვება. ჩვენს თხზულებაში იყო აღწერილი და გარჩეული სამი ომი: ერთი ღვეით აღმაშენებლისა და ორიც ომარ მეფის (შამქორისა 1203 და ბოლოსტიკისა 1204 წ.) პირველ შემთხვევაში ქართველების გამარჯვება მივაწერეთ იმას, რომ ღვეით აღმაშენებელი დაეცა თავს მტრის დანაწილებულ ჯარებს მთელი თავისის ლაშქრით ორიადეთის ვიწრო ალაგებში, რომ მან ორ ცეცხლს შუა მოამწყვდია მტერი და მარდად და საგნის შესაფერად ამოძრავა დიდი ლაშქარი.

ბოლოსტიკის ომში გამარჯვება მივაწერეთ შემთხვევას და უმთავრესად მას, რომ ქართველებმა კარგად ისარგებლეს ამ შემთხვევით: იგინი მოულოდნელად დაეცენ თავს აუარებელ მტრის ურდოს, მარტა წინა ბრძოლი რაზმით, ყოლბა ჯარის დაუმარებელი (რადგან მთელ ლაშქარს ასი ათასის კაცისაგან შემდგარს ერთბაშად მსვლელობა არ შეუძლია) და ამით მტერს არ მისცეს ნება განეწყო რაზმი.

მრისთავს და სხვათა; მადლობას გავუცხადებთ სრულთა თანაგრძობის და შემწეობის აღმომჩენთ: ქალ. ად. ბერარდისას, ოლ. შანჩაველისას, ნ. მერაბოვისას და ბატონთა ღვეიდოვს, ხახუტაშვილს, ბერიშვილს და ლიძეს. ბულითადაც მადლობას ვუცხადებთ «ქრუჟოკის» უფროსებს ზალის მუქთად დათმობისთვის.

წერა-პითხვის საზოგადოების
წევრი-დამხმარებელი
ნ. დასამიძე.

ცვლეგრამები

„წიდილოეთის საგანტოსა“
მარტის 22-ს.

პატიმარში. გენერალი გამაროვი იუწყება, რომ ავღანელები საგან აშკარა მტრობისა და წინააღმდეგობის გამო, იგი იძულებული შეიქმნა მარტის 18-ს იერიშით მისუღიყო მდ. გუშკას ორთავ ნაპირზე, სადაც ავღანელების სიმაგრენი იყვნენ. ავღანელების რაზმი, რიცხვით 4000 კაცი, 8 ზარბაზნით, დამარცხდენ და განთხრუულ იქმნენ; 500 კაცი მოკვდა ავღანელების მხრით; ჩვენ დაგვრჩა სრულიად მათი არტილერია, ორი დროშა და მთელი ბანაკი ყოველის სურსათით. ჩვენის მხრით მოკვდა ერთი აფიცერი - თურმენი სეიდ-ნაზარ უზბაში, გაიგწრა ორის ტყვიით პოლკოვნიკი ნიკშირი, დაიჭრენ ასის-თავი გონცევი და პორუჩიკი ხაბალოვი, გაიგწრა თავში პოდ-პორუჩიკი კოსმინი; მდაბალ ჩინთაგან, უახსნთაგან და თურქმენთაგან მოიკლა 10 და დაიჭრა 29 კაცი. შეტაკების გათავების შემდეგ, გენ. კომაროვი გადმოვიდა ისევ მდ. გუშკა-

მხოლოდ შამქორის ომში მივაწერეთ გამარჯვება მაშეკლი ჯარს და იქაც მაშეკლი ჯარების სისტემაზედ არა გვითქვამს რა, არამედ მაშეკლი რაზმზედ, რომელიც წარმოსდგებოდა ქართველ საომრო წეს-წყობილებისაგან; ამ წეს-წყობილებას ნათლად გვიხატავს მატიაშეს სიტყვები *): „განაწყეს რაზმი წეს-საებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა.“

საფუძვლიანად იცნობდეს კაცი სამხედრო მეცნიერებას, თუ ცოტაოდნად, მაინც ომების აღწერის დროს უსაჭიროეს საგანს შეადგენს ბრძოლის ველის რუკა და გეგმები, რომელნიც განმარტებს ომის მსვლელობას; ამითი უქონლობა ჩვენს თხზულებაში ცხადი ნაკლებობა იყო, მაგრამ ამაში ჩვენ არაფერი ბრალი გვაქვს — ისტორიის და არხეოლოგიის საზოგად. და «ივერია» ვერ შესძლო გამოცემა ჩვენი თხზულებისა საჭირო რუკით და გეგმებით, რაიცა წერილის ბოლოში მოხსენებული არის.

თათარყან შერ.

*) ქართლის ცხოვრება გვ. 306.



ზე და დაბრუნდა თავის ადგილზე ინგლისელ აფიცრებმა, რომელნიც დაესწრენ ამ შეტაკებაზე და მონაწილეობას კი არ იღებენ მასში, რაკი შენედეც ავღანელების დამარცხებას, მოგვმართეს თხოვნით დაგვეფარა ისინი; მაგრამ, სამწუხაროდ; გენ. კამაროვის მიერ იმ წამსვე გაგზავნილი რაზმი ვედარ დასწვდა ავღანელების ცხენოსან ჯარს, რომელმაც თან გაიტაცა ინგლისელი აფიცრები.

დუბლინი. გუშინ აქ მოვიდა უელსის პრინცი მეუღლითურთ. ნავთ-საყუდლიდამ სასახლემდის აუარებელი ხალხი ირევოდა, მოქალაქეთა წარმომადგენლებმა მხარეთვეს პრინცს ადრესი; საწინააღმდეგო დემონსტრაცია არა უოფილა რა.

პარიზი. დეკუტატთა პალატის თავს-მჯდომარედ არჩეულ იქნა ფლოკე. პალატის სხდომანი მაისის 4-სათვის იქნა გადადებული. ფრენსინიემ დევემა მიიწერა პეკინში, რომ გაიგოს, თანახმაა თუ არა ჩინეთის მართებლობა მორიგების პირობებზე; მხოლოდ პასუხის მიღების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს მორიგება გადაწყვეტილად.

„დროშის“ ფოსტა.

- ი. ე — ს. სტენას ვერ დაბეჭდავთ, — სასტენო დასკვნას მოკლებულია.
- რ. აღისუბნედს. თქვენს ლექსინდას ვერ დაბეჭდავთ.
- ვ — ს. გ. ვ — ს. თქვენი ფელტონი «სახის-მეტყველება» არ დაბეჭდება.
- უ — სს. ზ. ჯ — ს. გამოგზავნეთ სოფლების სახელები და თუ მოასკესებთ, უფრო ვრცელი სტატისტიკური ცნობებიც. სიამოვნებით დაბეჭდავთ.
- ს — ს. ა. ჩ — ევს. გამდლობთ მონაწილეობის მიღებისთვის, მაგრამ ძნელი კია ავსსნათ, რა არის სატელეგრაფი და რა არა. თუ ერთსელ-ორჯულ გამოგვიგზავნით, თვით პრაქტიკა გე-მოახჩენს ამას.
- მთავრებელს. თქვენი ლექსი არ დაბეჭდება.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ. ნი ვარმიშვილი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარემო მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსავლენებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამაზობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამივიანი:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ქორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიმ-ზარსადანოვი, ორშაბათობით და პარასკევობით.
ამივიანი:
ვილჩაოვიჩისა, სამშაბათობით.
გაზინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.
სტაშანოვისა, ორშაბათობით და შაბათობით.
ლოქოვისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

განცხადებანი

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გაშვება

აუწყებს პატრონებს გირაუნობის ფურცლებისა მე-2 სერიისას, რომელნიც გამოცემულნი იყვნენ 18 წ. და 7 თვის, 27 წ. და 6 თვით და 54 წ. და 6 თვის ვადით, რომ, რადგანაც ამ გირაუნობის ფურცლებს ქაჟონები გაუთავდათ, ამ ფურცლების ტალონების შეცვლა ახალ კუპონების ფურცლებზე მოხდება 1885 წ. ივლისის 1-დამ ნოემბრის 1-მდე ქ. თბილისში, ბანკის სამმართველოში და პეტერბურგში — ბატ. მაველბერგის საბანკო სახლში; ხოლო ნოემბრის 1-დამ მხოლოდ ბანკის სამმართველოში, სადაც ახალი კუპონების ფურცლები მიეცემათ მათ, ვინც ძველს ტალონებს წარმოადგენენ. მაგრამ თუ ტალონების შეცვლა კომისიონერთან მოხდება, მაშინ უნდა წარმოადგინონ საკომისიო 5 კაპ. ყოველ გირაუნობის ფურცელზე.

თუ რომ ტალონები შესაცვლელად ფოსტით გამოიგზავნება, მაშინ განცხადებაში უნდა აღნიშნულ იქნას გარკვევით და რიგზედ ნომერი, სერია, ვადა და ღირსება გირაუნობის ფურცლებისა, აგრეთვე აღრესი, რომლითაც უნდა გაიგზავნონ ახალი კუპონის ფურცლები. (3--3)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მალაზიაში ისეილება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მალაზია იმყოფება ბულვარის პირ და-პირ საკუთარ შენობაში. (14-4)

ჰურჯული! ჰურჯული! ჰურჯული!!!
ძალიან ბევრია ინგლისის მალაზიაში. იქვე ისეილება ძალიან იაფად ერთი ნაჭერი მიწა მტკვრის პირზედ. (10-3)

მოკვლადი

ს. სიუ და ქ.
(II. 2542). (46-8)
მ. გორვი
ივ. ბარამოვის მალაზიაში ისეილება ყოველ გვარი ქართული წიგნები. (3-3)

გამოვიდა და ისეილება
ზღაპრული კომეა ბ. შამთლისა

ფიქს-პასი

გამოცემა «ნობათია»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურგში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. შასი ყველგან საში ახაზი.

ისეილება: თბილისში — «ნობათია»-ს რედაქციაში, ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში, ვ. შევეროვის სააგენტოში და ქუთაისში — ძმ. შილაძეთა წიგნის მალაზიაში. გორში — ს. მკალობლიშვილისას. თელავში — ივ. როსტომაშვილისას. ზათუმში — მოსე ნათაძისას.

ვინც პირ-და-პირ «ნობათია»-ს რედაქციადამ ათს ეგზემპლარს დაიბარებს, წიგნი ელირება ათი შურით. (10-10)

საგლობისა კალმები

ტურნირისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსვილ უსუფთაო ქალღმრთელად მართლ ერთი სააგენტო ინგლისის მალაზია — პარწრუნისიეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ჭაბრიკილამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქალღმრთელი, კონვერტები, ყარანდაშები, რეგულები, კომპასები, ბუმაჟიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფონდოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაყდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შროტები, პირ-სახოცები, კოკონები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რეგულეგები, სასტვენლეები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის სახეები, ფიანისის თევშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მალაზია იმყოფება პარწრუნისიეულს ქარვასლის № № 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100-10)

ინგლისური მალაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლების-თბილისში, იმყოფება პარწრუნისიეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, (92 სამუხიკო მალაზია ლანკასი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მალაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვან გარეთ ჩაის საეილად და შიკველ ხელიდან ჭეიფულობს, ამიტომაც შეუძლია ჭეიფოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასაწმენდებლად ჩაის შინებებმა და შიკველ მოკრეფილას ჩაის დამაფასებლებმა შეადარონ ჩვენი ჩაი 1 მან.—კაპ. ჩაის სხვაგან 1 მან. 20 ლირებულს.

„ „	1 — 20 —	„ „	1 — 50 —
„ „	1 — 40 —	„ „	1 — 80 —
„ იშვიათი	1 — 60 —	„ „	2 — 20 —
„ ჩანეთის უკავილი	1 — 80 —	„ „	2 — 50 —
„ ჭუჭყეჭუ	2 — „ —	„ „	2 — 80 —
„ ფენოქი	2 — 40 —	„ „	3 — „ —

ტრაქტორები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უკველია, დაწმენდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნსელგანს და მგანს ჩაის ზემა-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქალღმრთელ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მალაზია ავისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ეს-სენცია გაკოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონგა, უნაგირები, ტაბაკები (ფონდოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კვავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან — აი სეკრეტი ინგლისური მალაზიის გასაფრანს წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჭეიფის უზრუნველყოფა სიმრავლეს ჩაისს, კალმებისას, ქალღმრთელისას, კვავოტებისას და სხვ... (100-10)